



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 ოქტომბერი 2024



N 586/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. სამტრედიაში, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202352514) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა ქ. სამტრედიაში, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N10/ს) შექმნა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო ორგანიზაცია შპს „BS Group“-ის მიერ.

2023 წლის 22 ივნისის N285/ს ბრძანების საფუძველზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება ქ. სამტრედიაში შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, რომლის თანახმად საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2023 წლის 11 აგვისტოს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. სამტრედიაში შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N544/ს; 13/10/2023, სკოპინგის დასკვნა N31).

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავი 2004 წლიდან სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ საკუთრებას წარმოადგენდა, რომელზეც გაცემული იყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №00158 და ექსპერტიზის დასკვნა №05 (26.09.2009). 2018 წელს, დაგეგმილ სარემონტო და აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ სამინისტროში წარდგენილ იქნა „ქ. სამტრედიაში ნავთობპროდუქტების საცავების (საწვავის საცავების) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების“ თაობაზე დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

2019 წლის 10 ივნისის №2-505 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. 2019 წლის 6 დეკემბერს მინისტრის ბრძანებით აღნიშნული გადაწყვეტილება სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიადან“ გადაეცა შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/2864 და N21/6870) შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ 2024 წლის 24 აპრილს წარმოადგინა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N4567 და N8926). კერძოდ, დაზუსტდა: საავიაციო ნავთის რეზერვუარების მოცულობასთან, ასევე დიზელის საწვავის სარეზერვუარო პარკის ჯამურ და ფაქტობრივ მოცულობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე, დაზუსტდა რკინიგზის ჩიხის სიგრძე და საავიაციო ტიპის საწვავის მიღება-გაცემის, სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის, მათი ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების, ნავთობპროდუქტების წლიური ტვირთბრუნვის, ნავთობდამჭერი მოწყობილობების შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, დაზუსტდა ნარჩენების კოდისა და დასახელების, ასევე საწვავში დანამატების შერევის (ე.წ. „KAREPOUR-ის კლასის დანამატები) ტექნოლოგიისა და პროცესის შესახებ ინფორმაცია. ასევე, წარმოდგენილი იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარულ წყაროების, ნაჯერი ნახშირწყალბადების გაფრქვევის შემცირების რეკუპერატორის ეფექტურობის და სატუმბო დანადგარის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანებები N245/ს 15/05/2024; N496/ს 05/09/2024), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავი მდებარეობს ქ. სამტრედიის, ა.ბახტაძის ქუჩა, ჩიხი I, №23, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 58270 მ² მიწის ნაკვეთზე (ს/კ 34.08.71.086), რომელიც მდებარეობს სამტრედიის ცენტრალური უბნიდან დასავლეთით. ნავთობპროდუქტების საცავი საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ საავტომობილო გზიდან დაშორებულია 140 მეტრით. უმოკლესი მანძილი მდ. რიონამდე შეადგენს 1,2 კმ-ს. უახლოესი მოსახლე (ს/კ 34.08.72.049) ობიექტიდან დაშორებულია 520 მეტრით. ნავთობპროდუქტების საცავის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა საწარმოები არ ფუნქციონირებენ. ნავთობპროდუქტების საცავის მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ნაკვეთზე (ს/კ 34.08.71.089) შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 10000 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 ნოემბრის N2-1127 ბრძანებით გაცემულ იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 12 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა ძალადაკარგულად.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია უმოქმედობის, ტექნოლოგიური და მწარმოებლობის შემცირების/გაზრდის ალტერნატიული ვარიანტები. გამომდინარე იქიდან, რომ ნავთობპროდუქტების საცავების ტერიტორია დაგეგმილი ცვლილებების საშუალებას იძლევა, სხვა ტერიტორიის განხილვა მიზანშეწონილად არ ჩაითვალა. გზშ-ის მიხედვით, დგინდება, რომ საწარმოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მწარმოებლობის გაზრდის მიმართულებით, ხოლო უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილ იქნა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ნავთობპროდუქტების მიღების, გაცემის და შენახვისას არსებული დანაკარგებისა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების შემცირებისთვის, შერჩეულ იქნა ნავთობპროდუქტების რეკუპერაციის დანადგარი - ორთქლის დაჭერის და აღდგენის სისტემების გამოყენებით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე განთავსებულია ბენზინის, დიზელისა და საავიაციო საწვავის რეზერვუარები. დიზელის საწვავის სარეზერვუარო პარკი მოიცავს 6 რეზერვუარს, რომელთაგან 3 ერთეულის სამუშაო მოცულობაა 3 015 მ³ (ფაქტიური მოცულობა 3350 მ³), ხოლო 3 ერთეულის - 1930 მ³ (ფაქტიური მოცულობა 2150 მ³). დიზელის სარეზერვუარო პარკის ჯამური სამუშაო მოცულობაა 14835 მ³. (ფაქტიური მოცულობა 16500 მ³) წლიური ტვირთბრუნვა - 100 000 ტონა. ასევე, დიზელის საწვავის სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე განთავსებულია 3350 მ³ მოცულობის ავარიული დანიშნულების ერთი რეზერვუარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საავიაციო საწვავის სარეზერვუარო პარკი მოიცავს 3 ერთეულ რეზერვუარს (500 მ³, 500 მ³ და 100 მ³), რომელთა ჯამური მოცულობაა 1100 მ³, ხოლო წლიური ტვირთბრუნვა - 10 000 ტონა. ბენზინის საწვავის სარეზერვუარო პარკი მოიცავს 10 რეზერვუარს, რომელთაგან 8 ერთეული რეზერვუარის მოცულობა შეადგენს 1000 მ³-ს, ხოლო დარჩენილი ორი რეზერვუარის მოცულობებია 3000 მ³ და 3350 მ³. ბენზინის სარეზერვუარო პარკის ჯამური სამუშაო მოცულობაა 14 350 მ³, ხოლო წლიური ტვირთბრუნვა - 100 000 ტონა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს ბენზინის რეზერვუარებზე კოროზიის ნიშნების არსებობის გამო, 3000 მ³ მოცულობის და 3350 მ³ მოცულობის ბენზინის რეზერვუარების ამოღებას ექსპლუატაციიდან და ახლით შეცვლას, თითოეული 3000 მ³ მოცულობის რეზერვუარებით. ამასთან, ერთი 3000 მ³ მოცულობის რეზერვუარი გამოყენებული იქნება დიზელის საწვავისათვის. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, ბენზინის სარეზერვუარო პარკში ჯამურად იქნება 9 ერთეული ბენზინის რეზერვუარი საერთო მოცულობით - 11 000 მ³ (ერთი რეზერვუარი -3000 მ³ და რვა რეზერვუარი - 1000 მ³ მოცულობის). ამასთან. ბენზინის სარეზერვუარო პარკში განთავსებულ 8 რეზერვუარის (თითოეული 1 000 მ³) ძირებსა და სახურავებს აღნიშნება კოროზია და დაგეგმილია აღნიშნული ელემენტების შეცვლა. ასევე, ბენზინის საწვავის წლიური ტვირთბრუნვა, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე საწვავის შეტანისა და გატანის ოპერაციების ჯერადობის გაზრდის ხარჯზე, 100 000 ტონიდან გაიზრდება 600 000 ტონამდე.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე არსებულ დიზელის სარეზერვუარო პარკში, ასევე კოროზიის ნიშნების არსებობის გამო, 3350 მ³ მოცულობის სამი და ერთი ავარიული დანიშნულების 3350 მ³ დიზელის რეზერვუარები ამოღებულ იქნება ექსპლუატაციიდან და შეიცვლება, თითოეული 3000 მ³ მოცულობის ახალი რეზერვუარებით, ამასთან ავარიული რეზერვუარის ნაცვლად ახალ 3000 მ³ მოცულობის რეზერვუარს შეეცვლება ფუნქციური დანიშნულება და მიღებულ იქნება ექსპლუატაციაში, ხოლო რაც შეეხება დიზელის საცავის 2000 მ³ მოცულობის რეზერვუარებს, კოროზიის ელემენტების მხოლოდ ძირზე და სახურავზე აღმოჩენის გამო დაგეგმილ იქნა მათი ძირებისა და სახურავების შეცვლა. აღნიშნული ცვლილებების შემდეგ დიზელის სარეზერვუარო პარკში წარმოდგენილი იქნება 8 რეზერვუარი - ხუთი რეზერვუარი, თითოეული 3000 მ³ მოცულობის და 3 რეზერვუარი, თითოეული 2 000 მ³ მოცულობის, საერთო მოცულობით 21000 მ³, ამასთან, ადგილი იქნება დიზელის რეზერვუარების მდებარეობის შეცვლას. ხოლო წლიური ტვირთბრუნვა, ნავთობპროდუქტები საცავის ტერიტორიაზე საწვავის შეტანისა და გატანის ოპერაციების ჯერადობის გაზრდის ხარჯზე, 100 000 ტონიდან გაიზრდება 400 000 ტონამდე.

ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, საავიაციო საწვავის სარეზერვუარო პარკში ჯამურად იფუნქციონირებს 3 ერთეული (100 მ³, 400 მ³ და 400 მ³) რეზერვუარით, რომელთა საერთო მოცულობა იქნება 900 მ³, ხოლო ტვირთბრუნვა დარჩება უცვლელი (100 ტ/წელ). ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, ნავთობპროდუქტების საცავის

ტერიტორიაზე რეზერვუარების რაოდენობა, ნაცვლად 19 ერთეულისა, გახდება 20 ერთეული, ხოლო მათი ჯამური მოცულობა -32 900 მ³.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მას შემდეგ, რაც განხორციელდება ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული რეზერვუარის განთავსება ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე წინასწარ შექმნილ მონოლითურ ფილებზე, მოხდება არსებული შემოზვინვის დემონტაჟი, ტერიტორიის მოშანდაკება და მის ნაცვლად მოწყობა 1 მ სიმაღლის რკინა-ბეტონის შემოზვინვა ყველა რეზერვუარის ირგვლივ. ამასთან, შეიცვლება რეზერვუარების განთავსების ტერიტორიის (შემოზვინვის შიდა ფართობი) ფართობი და იქნება 11 101 მ² (6 945 მ² -ს ნაცვლად), რომელიც დაიფარება რკინაბეტონის ტენგაუმტარი მასალით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ასევე ითვალისწინებს ნარჩენების მოედნის მოწყობას. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ასევე გათვალისწინებულია ობიექტზე არსებული სატუმბო სადგურის ავარიული ნაგებობის დემონტაჟი და იმავე ადგილას 120 მ² ფართობის მქონე გადახურული ნაგებობის მოწყობა, სადაც განთავსდება ახალი სატუმბო მოწყობილობები. ასევე, ჩანაცვლდება ნავთობპროდუქტების ჩამომსხმელი ესტაკადის მექანიზმის მოძველებული ელემენტები და ნავთობპროდუქტების მიმღები კოლექტორი. გარდა ამისა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სახანძრო წყლის სამარაგო რეზერვუარების რეკონსტრუქცია, დაბინძურებული წყლის FSN-3 (ΦCH-3) ფილტრ-სეპარატორის (წარმადობა 3,0ლ/წმ) შეცვლა ანალოგიური ტიპის ფილტრ-სეპარატორით (წარმადობა 10ლ/წმ), ასევე, საწვავში დანამატების შერევის უზნის მოწყობა საწვავის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, რომელიც წარმოდგენილი იქნება ბეტონის ზედაპირისა და გადახურვის მქონე ნაგებობის სახით. საწვავში გამოყენებული იქნება „KEROPUR“-ის კლასის დანამატები, რომელთა ობიექტის ტერიტორიაზე შეტანა მოხდება ჰერმეტიკულად დახურული კასრებით.

ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ნავთობპროდუქტების მიღების, გაცემისა და შენახვის პროცესში დანაკარგებისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შემცირების მიზნით, ობიექტზე დაგეგმილია ნავთობპროდუქტების რეკუპერაციის დანადგარის (ორთქლის დაჭერისა და აღდგენის სისტემა) მოწყობა, რომლისთვისაც დაგეგმილია 160 მ² ფართობი რკინა-ბეტონის ბაჟნის განთავსება. რეკუპერაციის დანადგარის ჰერმეტიკული მილსადენების სისტემა დამონტაჟდება ბენზინის რეზერვუარების, ავტოცისტერნების და ვაგონცისტერნების ლუქებზე, რომელიც დაკავშირებული (შეერთებული) იქნება რეკუპერაციის დანადგარის სითბოს გადამცვლელების შემკრებ ფიტინგებთან. ბენზინის მიღება/გაცემის ოპერაციების შესრულებისას ნახშირწყალბადების გაფრქვევას ადგილი იქნება რეკუპერაციის დანადგარის გაფრქვევის მილიდან. ანგარიშში წარმოდგენილია დანადგარის სქემა და ტექნიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია. ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 3 წლის განმავლობაში. საწარმოში დასაქმებული იქნება 36 ადამიანი.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დიზელისა და ბენზინის საწვავის მიღება ხდება რკინიგზის ჩიხით, ერთდროულად შეიძლება დაიცალოს 12 ვაგონ-ცისტერნა. რკინიგზის ჩიხი გათვალისწინებულია ორმხრივი დაცლისთვის. ვაგონცისტერნების მიწოდება რკინიგზის ჩიხზე გათვალისწინებულია ჯგუფურად. ჩამოსასხმელი მოწყობილობა გათვალისწინებულია ყოველ 12 მეტრში, რაც უზრუნველყოფს 60 ტ ვაგონცისტერნების სწრაფ და ერთდროულ დაცლას. ნავთობპროდუქტების დამცვლელი რკინიგზის ჩიხის სიგრძეა 144 მ. ჩიხის მუშაობის რეჟიმი სადღეღამისოა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ყველა სახის ზემოაღნიშნული ნავთობპროდუქტების გაცემა ძირითადად წარმოებს ავტოცისტერნებით. ერთდროულად შესაძლებელია 6 ავტოცისტერნის მომსახურება. ნავთობპროდუქტების გაცემა იწარმოებს

გაცემის მოედანზე დამონტაჟებული ტუმბოების (ფეთქებაუსაფრთხო) საშუალებით. რაც შეეხება საავიაციო ნავთს, მისი შემოტანა ტერიტორიაზე მოხდება სარკინიგზო ესტაკადის მეშვეობით, რის შემდეგაც იგი ჩაიტვირთება შესაბამის რეზერვუარში, ხოლო გაცემა მოხდება ავტოცისტერნებში ავიასაწვავის გასაცემი ფარდულიდან.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე თითოეულ შენობა-ნაგებობაზე მოეწყობა სახანძრო სიგნალიზაციისა და შეტყობინების სისტემის ქსელი. ასევე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სარეზერვუარო პარკის მოცულობისა და წლიური ტვირთბრუნვის გაზრდის გათვალისწინებით, ობიექტზე არსებული ორი სახანძრო წყლის რეზერვუარის (ჯამური მოცულობით 725 მ³) გარდა, დამატებით მოეწყობა 2 000 მ³ მოცულობის სახანძრო დანიშნულების წყლის რეზერვუარი. სარეზერვუარო პარკის ირგვლივ, მოეწყობა სახანძრო სტენდი და კარადა, სადაც მოთავსებული იქნება სახანძრო ინვენტარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტზე წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური (რეზერვუარების რეცხვა, საწარმოო მოედნების მორწყვა) და სახანძრო დანიშნულებით. საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რაოდენობა შეადგენს 591 მ³/წელ. ტექნიკური მიზნით გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა იქნება წელიწადში 400 მ³, სახანძრო დანიშნულებით - 2 725 მ³. ლიცენზიის საფუძველზე ობიექტზე წყალაღება ხორციელდება ნავთობპროდუქტების საცავის მიმდებარედ არსებული ჭაბურღილიდან.

ობიექტზე წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლები. სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩაედინება ქ. სამტრედიის საკანალიზაციო ქსელში, ხოლო ობიექტის ტერიტორიის თითოეულ უბანზე წარმოქმნილი სანიაღვრე-ჩამდინარე წყლის ჩაედინება მოხდება მიწისქვეშა მილებით სალექარში (შლამსაცავი), სადაც ხდება შლამის დალექვა, შემდეგ ჩაედინება ფილტრ-სეპარატორში. საწარმოო-სანიაღვრე წყლების წარმოშობის ტერიტორიად განიხილება რკინიგზის ტერიტორია, ავტოსამრეცხაო, სარეზერვუარო პარკი, ავტოცისტერნებში საწვავის გასაცემი ესტაკადები, რეზერვუარების პარკი. გაწმენდილი წყალი მოხვდება სანიაღვრე არხში (საწარმოს ჩრდილოეთით). ანგარიშში წარმოდგენილია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიცია სანიაღვრე სისტემის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.

სალექარი წარმოადგენს მიწისქვეშა ჰერმეტიკულ ბეტონის ნაგებობას, სადაც ადგილი აქვს ნავთობპროდუქტებით და შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული წყლიდან შეწონილი ნაწილაკების გამოყოფა-დალექვას შლამის სახით. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნავთობშლამის რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს 200 კგ-ს. შლამის ამოღება მოხდება რეგულარულად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ფილტრ-სეპარატორის წარმადობაა 10,0 ლ/წმ (ტიპი FSN-3). ფილტრი-სეპარატორი იყოფა ორ კამერად: დეკანტაციის კამერა - შეწონილი ნაწილაკების შესაგროვებლად (სალექარი) და ფილტრაციის კამერა (აღჭურვილია კოალესცენტური ფილტრით, მეორადი ფილტრით - პოლიურეთანის ქაფის მასალისაგან დამზადებული ავტომატური ჩამკეტი სარქველით). როგორც ფილტრ-სეპარატორი, ასევე სალექარი (შლამსაცავი) წარმოადგენს ჰერმეტიკულ, დახურულ მოწყობილობას. ანგარიშით თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის ეტაპზე ზედაპირული წყლის ობიექტიდან არ იგეგმება წყლის აღება. აგრეთვე, გათვალისწინებული არ არის ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვება. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. რიონი, ტერიტორიიდან დიდი მანძილით არის დაშორებული (1.2 კმ-ით). აღნიშნულიდან გამომდინარე, ზედაპირულ წყლის ობიექტზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

გზმ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და გაფრქვევას ატმოსფეროში. გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენენ: რეკუპერაციის დანადგარი (ბენზინის მიღება/გაცემის ოპერაციების წარმოებისას), დიზელის რეზერვუარები, დიზელის ავტოცისტერნებზე გაცემის უბანი, დიზელის ვაგონცისტერნებზე გაცემის უბანი, საავიაციო საწვავის რეზერვუარები, საავიაციო საწვავის ავტოცისტერნებზე გაცემის უბანი. ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: გოგირდწყალბადი, ნაჯერი ნახშირწყალბადები C1-C5, C6-C10, C12-C19, ამილენები, ბენზოლი, ქსილოლი, ტოლოლი, ეთილბენზოლი. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო ციკლის ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის დროს, რომლის მიხედვითაც ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს არც ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე (მაქსიმალური კონცენტრაცია ნახშირწყალბადების C₁₂-C₁₉, ზდკ -ს წილი შეადგენს 0,26მგ/მ³) და არც უახლოეს მოსახლის მიმართ (პირდაპირი მანძილი 520 მ).

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შედეგად მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ისეთი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, როგორცაა: ნარჩენი საღებავი და ლაქი, რომელიც შეიცავს გამხსნელებს ან სხვა საშიშ კიმიურ ნივთიერებებს, გაპოხვის შედეგად მიღებული ნარჩენები, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი (ნალექი), ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ქსოვილები და სხვა. არასახიფათო ნარჩენებიდან წარმოიქმნება ქალაქისა და მუყაოს შესაფუთი მასალა, ხის შესაფუთი მასალა, შერეული მუნიციპალური ნარჩენები. არასახიფათო ნარჩენები გატანილი იქნება რეგიონში მოქმედ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორებს. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით, გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის გეგმა.

დაგეგმილია ნარჩენების მოედნის მოწყობა, რომელიც წარმოადგენს ლითონის მავთულბადით შემოზღუდულ მობეტონებულ მიწისზედა ნაგებობას, ზომებით სიგრძე-4,0მ; სიგანე - 4,0მ. მისი მოწყობა დაგეგმილია საწარმოს დასავლეთ ნაწილში. აღნიშნულ მოედანზე მოხდება ჰერმეტიკული კონტეინერების განთავსება, რომლებშიც დროებით შეგროვდება რეზერვუარების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ნალექი, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი და სხვა სახიფათო ნარჩენები და შემდგომ გატანილი იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. შესასრულებელი სამუშაოების უმრავლესობა წარმოადგენს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რა დროსაც დიდი რაოდენობით სამშენებლო მასალის გამოყენება არ მოხდება. სამუშაოების დროს გამოყენებული სამშენებლო მასალები (ბეტონი, არმატურა და სხვა) შემოტანილი იქნება მზა სახით, შესაბამისად, ადგილი არ ექნება მათ ადგილზე წარმოებას. ნიადაგზე/გრუნტზე ზემოქმედებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის ან საპოხი მასალების დაღვრის შემთხვევაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიხსნება

დაბინძურებული გრუნტის ფენა და დროებით განთავსდება სახიფათო ნარჩენებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე. ექსპლუატაციის ეტაპზე ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში მისი ღრმა ფენებში და ტერიტორიაზე გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გატარდება შემდეგი ღონისძიებები: ნავთობსაცავების ტერიტორიაზე შემოზვინვის ტერიტორიის ფსკერი დაიფარება არმირებული ბეტონის ფენით მასზე ბეტონის ფილების და ჰიდროიზოლაციის ორი შრის არსებობით, ხოლო კედელი წარმოადგენს ასევე არმირებული ბეტონის ნაგებობას; შემოზვინვის შიდა მოცულობა გაცილებით აღემატება ყველაზე დიდი რეზერვუარის მოცულობის 110%-ს. ნავთობპროდუქტების სატუმბი სადგური განთავსდება მიწისზედა კაპიტალურ ნაგებობაში, კედლები და ფსკერი დაიფარება არმირებული ბეტონის ფენით ორმაგი ჰიდროიზოლაციის ფენის არსებობით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ტერიტორიაზე ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. აგრეთვე, საწარმოს უშუალო გავლენის ზონაში არ აღინიშნება ბუნებრივ პირობებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა სახეობები. გარდა ამისა, ობიექტი მთლიანად შემოღობილია, ამიტომ ტერიტორიაზე ცხოველების შემთხვევით გადაადგილების რისკი არ არსებობს. ტერიტორიის სიახლოვეს, ასევე არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირების შედეგად ხმაურის ძირითად წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს მოძრავი ავტოტრანსპორტი. დღე-ღამის განმავლობაში განხორციელდება 90 სატრანსპორტო ოპერაცია. თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის ინტენსივობის გათვალისწინებით ზემოქმედება ავტოსატრანსპორტო ნაკადზე განიხილება დაბალ ზემოქმედებად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე ტერიტორიაზე ხმაურის მუდმივმოქმედ წყაროებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების მიმღები ტუმბოები. ტუმბოების ხმაურის დონე გათვლების შედეგად წარმოადგენს 78 დბა-ს. ტუმბოები განთავსებულია ნაგებობაში, ხოლო უახლოეს მოსახლესა და ხმაურწარმომქმნელ წყაროს შორის არსებობს ბეტონის კედელი, რომელიც წარმოადგენს ხმაურის ამრეკლ კონსტრუქციას (ეკრანს). უახლოესი მოსახლის საზღვარზე (520 მ) ხმაურის სტაციონარული წყაროების მუშაობის პირობებში ხმაურის დონე არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების საცავის მიმდებარედ, 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში, მსგავსი ტიპის ობიექტი განთავსებული არ არის, შესაბამისად ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირების ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 23 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საკონსულტაციო კომპანია “BS Group-ის”, საქმიანობის განმახორციელებელი შპს “სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის”, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვის დროს დამსწრე საზოგადოების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა. ადმინისტრაციული

წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი და განხილულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიშში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და ამავე კოდექსის პირველი დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. სამტრედიის, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ასევე ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერის მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებებთან ერთად) ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები 500 მეტრიანი ნორმირებული ზონის საზღვარზე, მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატების, მონიტორინგის სიხშირის, შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და მონიტორინგის შედეგების წელიწადში ერთხელ წარმოდგენის მითითებით. ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმაში ასევე, შეტანილი უნდა იყოს მავნე ნივთიერების - ნაჯერი ნახშირწყალბადების (CH) ინსტრუმენტული მონიტორინგი. მონიტორინგი განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
6. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე

ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

7. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და სახანძრო უსაფრთხოების მუდმივი მონიტორინგი;
8. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ ობიექტზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების სანიაღვრე არხში ჩაშვება უზრუნველყოს აღნიშნული არხის მფლობელთან შეთანხმების შესაბამისად;
9. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
10. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
11. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
12. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
13. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/586-21-4-202410161736>

